№ 36

ოთხშაბათი, 16 თებერვალი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ [illegible]

ოთხშაბათი, 16 [illegible]ალი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 16 თებერვალს 1900 წ.

ბენეფისი

### ა. მ. კარგარელისა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

### ებრაელის ქალი

დრამა 5 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ნი კარგარელი, ნებიერიძისა; ბ-ნნი ყიფიანი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ჭელიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

შაბათს, 19 თებერვალს, ბენეფისი, ვ. აბაშიძისა და კ. მესხისა ეფემია მესხის მონაწილეობით.

---

## ქ. ქუთაისში

ექიმი გაბრ. იოს.

### გოკიელოვი

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12 ს., საღამ. 5—7 საათ.

ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთოშვილის სახლი, № 20.

(40—140—28)

---

## ქართველ ქალთა სამკერვალო

მიიღებს კაბებს შესაკერად, რისთვისაც მოწვეულია მცოდნე მკერვალი ქალი.

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

---

ტფილისის საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე კნ. ა. ა. ამილახვარი, ამ საზოგადოების სასარგებლოდ, 18 თებერვალს, „ტფილისის კრუჟოკის" სადგომში, გამართავს

### საცეკვაო საღამოს.

მანდილოსნებისათვის გულ-ამოჭრილი კაბები სავალდებულო არ არის. ბილეთი 2 მან. 10 კ. ჰღირს, იყიდება საზოგადოების თავმჯდომარესთან, ძველი-ინსტიტუტის ქუჩა, ტერ-ასატუროვის სახლი, და საზოგ. მდივანთან. ი. ბ. ხალათოვთან, ლაბორატორიის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 4. (3—49—1)

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ზ. ზურკო**. 1½—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი**. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**. 7—7½ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე**.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელის და ცხვირისა—10½—12 საათ.

**ე. პ. გაუდელინი**. 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (კარანცოვის მაგალის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

---

## ექიმი

### კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.

(100—31—98)

---

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ: აზ. გიორგი ყანჩელი ტფილისის გუბერნიის სამმართველოს კანცელარიის მოხელედ, კასილ პაპა ივანოვი ახალქალაქის მაზრის სამართველოს კანცელარიის მოხელედ და კოლეჟსკი სეკრეტარი ბარნიშვილი—ბორჩალოს მაზრის ეკატერინენფელდის ნაწილის პოლიციის ბოქაულად.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 16 თებერვალს, სათავად-აზნაურო თეატრში ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქმნება ახალი პიესა „იბრაელის ქალი", დრამა 5 მოქმედებად, ახალგაზდა არტისტის ქალის ა. მ. კარგარელის საბენეფისოდ.

*** პარასკევს, 18 თებერვალს, ავჭალის სახალხო კითხვების სადგომში გამართულ იქმნება ქართული წარმოდგენა. წარმოადგენენ გ. სუნდუკიანცის კომედიას „ხათაბალას".

*** სამშაბათს, 15 თებერვალს, ტფილისის გუბერნიის დეპუტატთა საკრებულოში დანიშნული ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა კრება არ შესდგა, რადგანაც კრებას თავად-აზნაურთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო. კრება გადაიდო სამშაბათ, 22 თებერვლისათვის.

*** ტფილისის სახალხო კითხვების კომისიის რუსული სათეატრო სექცია შაბათს, 19 თებერვალს, ქართულ თეატრში გამართავს დრამატიულ დილას ცოცხალის სურათებით. დილა შესდგება ორის განყოფილებისაგან. ამ უკანასკნელ განყოფილებაში ცოცხალი სურათებიც იქნება გამართული. რადგანაც სექციას აზრადა აქვს ამ წარმოდგენაზედ უმთავრესად ბავშვები მიიზიდოს, ბილეთების ფასები დაკლებულია. დილაში მონაწილეობას მიიღებენ: ზ. პ. ფალიაშვილის ხორო, ე. ა. შტეინი, კ. ს. ცხომელიძე, ი. ი. აგასოვი და სხვანი.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატას 12 თებერვალს წარედგინა სენატში გასაგზავნად საკასაციო საჩივრები თავ. ბარათაშვილისა, თავ. ტუსიშვილისა, ოსიტაშვილისა და ტერ-შმოვანოვისა, რომელთაც დავ. გაბაშვილის მოკვლა ჰბრალდებათ.

*** აქამდის ტფილისის მართლ-მადიდებელ ეკკლესიების ბლაღოჩინად იყო დეკანოზი მ. სოლომონ შოშიაშვილი. ეხლა, როგორც შევიტყეთ, მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოე-

---

## ფელეტონი

### ბრძოლა არსებობისათვის

(სურათი)

მთვარე მიბნედილიყო და აქა იქ ცაზედ დარჩენილი ვარსკვლავებიც იმალებოდნენ, ჰქრებოდნენ... ქვეყანა სდუმდა და განთიადს ელოდებოდა, რომ გაახლებულის ძალით უფრო მედგრად შეჰბრძოლებოდა ადამიანის საუკეთესო გრძნობანი გაბატონებულ მტრობა სიბრიყვე-ცბიერებას... ტყეც გაჩუმებულიყო, გაყუჩებულიყო... ერთი ფოთოლიც ხისა არ იძროდა... მხოლოდ მთის ნაკადულის რაკ-რაკი ყრუდ მოისმოდა შორიდგან... მოხიბლული ამ დიადის სიჩუმით, ნელის ნაბიჯით მიერეკებოდა ცხენს ილიკო ვიწრო მთის ბილიკზედ. დარაჯებსავით ჩამომწკრივებულნი დიდრონნი წიფლის ხეები ახლად გაფურთლილ ტოტებით ერთმანეთს ძმურად გადაჰხვეოდნენ და მთლად დაეჩრდილათ ბილიკი. ბუნების ამგვარმა სიმშვიდემ ჯერ სასიამოვნოდ აუძგერა გული ილიკოს, მაგრამ მალე სიმარტოვე აგრძნობინა, ჩააფიქრიანა და ამ გრძნობამ უნებურად თავისს ვინაობას დააკითხა...

ვინ იყო იგი, ვისი შვილი, საიდგან—არავინ იცოდა. იცნობდნენ განთქმულ მონადირედ, ამის მეტი თავისის თავის შესახებ არც თითონ ილიკომ იცოდა. ახსოვდა მხოლოდ, რომ ყმაწვილობისას ერთ ბერთან იზრდებოდა უდაბნოში... ახსოვდა როგორ ვერ შეითვისა მის ფართო გულმა უდაბნოს ვიწრო ცხოვრება, გამოიპარა იქიდგან თავისის ერთგულის თოფით და შეეკედლა ტყეს, რომელსაც მიანდო თავისი ბედი და უბედობა... ტყემაც მიიღო იგი, შეითვისა ვით ღვიძლი შვილი, გაამხნევა, გაალაღა, როგორც თვით არის ძლიერი და ლაღი; ჩაუნერგა მას ყოველივე სპეტაკი გრძნობა ადამიანისა... გაალამაზა, გაასუფთავა მისი გული, როგორც თვით არის სპეტაკი, ტურფა... რომელ სატრფოს შეუძლიან ისე მძლავრად აუძგეროს გული, ისე ალაფრთოვანოს თავისი მიჯნური, როგორც ნამდვილი მონადირე ტყის ახლად გაფურჩქნულმა და აყვავებულმა დიდრონ ხეებ-ველებმა, გაბრწყინვებულმა თოვლიან მთის წვერებმა და ჯოჯოხეთსავით ბნელ კლდეუფსკრულებმა... ტყის ჩუმა-იდუმალმა გუგუნ-ღუღუნმა და განრისხებულმა შრიალმა... მის ნაკადულთა ხტუნვა-რაკ-რაკმა და აქაფებულის ხევის შხუილმა... მის ჩიტთა სტვენა-გალობამ და ძლიერთა მხეცთა გრგვინვით ღრიალმა... ილიკო ტყეს მიენდო. განუზიარა თავისი სიხარული და მწუხარება და ბედნიერად სთვლიდა თავისს თავს დიდრონ მუხის ქვეშ თავისისავე ხელით აშენებულ პატარა ქოხში. მაგრამ დაუდეგარმა ადამიანმა მტრულად შეახო ხელი მის მფარველს საუნჯეს; გაჩეხა, გაანადგურა უბედური ტყეები და გარდაჰქმნა იგი სახნავ-სათესად. გაჰქრა მასთან ნადირიც და გულის-წუხილით ჩამოეცალნენ დაობლებულნი ილიკოსავით სახელოვანი მონადირენი; ძალა-უნებურად ამათაც ჩაურთეს წუთისოფლის ტალღებს თავისი ბედი და დაიწყეს ჩვეულებრივი ცხოვრება. დაცოლ-შვილიანებული ილიკო ეხლა ტყის დარაჯია, სულ მთლად ვერ ჩამოეცალა თავის საყვარელს ტყეს; სახელოვანი მონადირე სახელოვანი დარაჯი შეიქმნა და პატიოსან შრომით ჰკვებავს თავისს წვრილშვილს...

ასე ჰფიქრობდა ილიკო, მიმავალი ვიწრო მთის ბილიკზედ... მაგრამ თითქოს გული არ ეთანხმებოდა, ურჩობდა; თითქოს რაღაცა უსიამოვნო გრძნობა ნემსსავით სჩხვლეტდა და მოსვენებას არ აძლევდა. ილიკო უკვირდებოდა, მაგრამ ვერ გაეგო, რა გრძნობა იყო ეს უსიამოვნო გრძნობა... ელვასავით წინ რაღაც სურათები ეჩვენებოდნენ და ჰქრებოდნენ... ილიკო ამ სურათებს ჩაუკვირდა... აგერ წინ წამოეჩხირა დაპრანჭული სახე ძონძებში გახვეულ გლეხისა, თითქოს მათხოვარს ჰკავდა... აუტანელის მწუხარე თვალებით შესცქეროდა ილიკოს, თითქოს შველასა სთხოვსო... ილიკომ იცნო იგი... გუშინდელი გლეხი... ტყეში ხის მოჭრისთვის რომ დაიჭირა... აგერ კიდევ... და კვლავ ახალი სურათი წამოეჭიმებოდა ილიკოს თვალ-წინ... ილიკო ოფლში იწურებოდა, გაღვიძებული კაცთმოყვარეობა სულს უხუთავდა... მწუხარებისაგან მოიკუნტა, სახეზედ ჯერ საზიზღრობა დაეტყო, მერმე სიბრაზე

სობას საქართველოს ეგზარხოსს ტფილისის ეკკლესიები ორ საბლაღოჩინოდ გაუნაწილებია და მტკვრის მარცხნივ მხრის ეკკლესიების ბლაღოჩინად დაუნიშნავს იგივე დეკანოზი ს. შოშიაშვილი, ხოლო მარჯვნივ მხრის ეკკლესიებისა—დეკანოზი მ. ტყემალაძე.

⁂ უწ. სინოდის დადგენილებით თავ. ივანე დადეშქელიანი დამტკიცებულ იქმნა მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სვანეთის სამრევლო-საეკკლესიო სკოლების საპატიო მზრუნველად.

⁂ ქ. ქუთაისის მცხოვრებთ უთხოვნიათ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებისათვის, ქუთაისში ტელეფონი იქმნას გამართული. ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობას შეუწყნარებია ეს თხოვნა და კიდეც შესდგომია ტელეფონის გასამართავად საჭირო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას. როგორც გამოუანგარიშნიათ, ამ საქმეს 28,000 მანეთამდის დასჭირდება. ხარჯთ-აღრიცხვას ამ წლის მარტამდის წარადგენენ დასამტკიცებლად. („კავკ“.)

⁂ 23 თებერვალს ქ. სიღნაღში მოხდება სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა კრება. კრებამ უნდა შეასწოროს სიები იმ თავადთა და აზნაურთა, რომელთაც ხმა აქვთ თავად-აზნაურობის კრებებში, და უნდა განიხილოს ის საგნები, რომელნიც გუბერნიის თავად-აზნაურთა მომავალს კრებას წარედგინება.

⁂ როგორც „ცნ. ფურც.“ იუწყება, ბ-ნ მურიეს, „Caucase illustrè“-ს რედაქტორს, გადაუთარგმნია პროზად ფრანგულ ენაზე თავ. ი. გ. ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“. დედნად რუსული და ინგლისური თარგმანები უხმარია.

⁂ 1-ლ აპრილიდგან შემოღებულ იქმნება ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე დაკლებული ტარიფი მგზავრთათვის შემდეგ სადგურების შუა: 1) ბაქო-სურახანა, 2) ბათუმი-სუფსა, 3) ქუთაისი-გელათი-აბაშა-შორაპანი, 4) ფოთი-სამტრედია და 5) ტფილის-სურამი-ბორჯომი. სააბონემენტო ბილეთები მეაგარაკეთათვის მოსპობილ იქმნება 1-ლ მარტიდგან.

⁂ 20 თებერვლიდგან ტფილისის გუბერნიის მაზრებსა და დაბებში ადგილობრივი და განსაკუთრებით ამისთვის გაგზავნილი ბეითლები შეუდგებიან საქონლის შემოწმებასა და მათ პატრონთა სიების შედგენას. მაზრის უფროსებს დავალებული აქვთ საჭირო დახმარება აღმოუჩინონ ბეითლებს სამსახურის შესრულების დროს.

⁂ როგორც „ტფ. ფურც.“ იუწყება, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას პეტერბურგიდგან ნება მოსვლია გააფართოვოს თავისი სადგომი. ამისათვის გამგეობამ უნდა შეიძინოს ახალი ადგილი ზომით 300 კვ. საჟენი.

⁂ ქალაქის ბეითლებს, რომელთაც ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით მინდობილი ჰქონდათ ქალაქის საკლავ საქონლის შემოწმება, უკვე დაუთავრებიათ მინდობილება. საქონელს არავითარი გადამდები ავადმყოფობა არ აღმოსჩენია.

⁂ კავკასის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ბ-ნი ა. ლ. ბუტენკო გადმოყვანილ იქმნა ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგად.

⁂ ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა ბ-ნმა ჯაბადარმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ რადგანაც სავაჭრო აგენტებს დავალებათ სასამართლოების იმ განაჩენების სისრულეში მოყვანა, რომლებიც სავალდებულო დადგენილებათა დარღვევას შეეხება, დაენიშნოთ ამ აგენტებს განსაკუთრებული ჯილდო მეტის შრომისათვის. ეს შუამდგომლობა გამგეობამ უყურადღებოდ დასტოვა იმ მოსაზრებით, რომ სასამართლოს გარდაწყვეტილებების სისრულეში მოყვანა სამრეწველო აგენტების სამსახურის ერთი ვალდებულებათაგანიაო.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელმა დაავალა ქალაქის ბოქაულებს სამართალში მისცენ ხოლმე ისინი, ვისაც მათხოვრობა პროფესიად გარდაუქცევია და ვინც გამვლელს ხალხს მოსვენებას არ აძლევს.

⁂ ორშაბათს, 14 თებერვალს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, სოფ. საგარეჯოს მცხოვრებელი კონსტანტინე ხოხობოვი მივიდა პოლიციის მესამე საწილის თეატრის მოსახვევში და მელიქ-გაიკაზოვის სახლში შეუვარდა ნინო კონდაშვილს, ასტეხა ჩხუბი, რომლის დროსაც ჯოხით თავი გაუტეხა კონდაშვილის მოსამსახურეს ქუთაისის მაზრის სოფ. ეზათის მცხოვრებელს გლეხს ანტონ ჯიბლაძეს. დამნაშავე ხოხობოვი სადღაც დაიმალა. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 13 თებერვალს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის მცხოვრებელის ნინო ოჰანეზოვის საკუჰნაოდგან საპერნის ქუჩის ბერძენოვის სახლში მოუპარავთ ქვეშსაგები, ღირებული 10 მანეთად. ქურდი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

## ქალაქის საბჭო.

### 14 თებერვალი

წარსულ წელში ხმოსანს გრიქუროვს ყურადღება მიუქცევია აქაურ აბანოების უსუფთაობისათვის და წინადადება მიუცია გამგეობისათვის, რომ სავალდებულო დადგენილება იქმნას გამოცემული იმის შესახებ, რომ აბანოები სუფთად ინახებოდეს, რადგან ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობაზედ. გამგეობას მიუნდვია ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორისათვის დაეთვალიერებინა აბანოები და გაეგო, თუ რამდენად არის იმათში დაცული სანიტარული წეს-რიგი. დათვალიერების დროს აღმოჩენილა, რომ აბანოებს ბევრირამ აკლია სისუფთავის მხრივ. ამის გამო გამგეობას დაუდგენია, რომ სავალდებულო დადგენილება თუმცა არსებობს აბანოების სუფთად შენახვის შესახებ, მაგრამ უფრო დაწვრილებით გამოირკვიოს, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს საზოგადოდ სანიტარული წეს-რიგი და, როცა შესაძლო იქნება, საბჭოს წარუდგინოს თავისი მოსაზრებანი.

ხმ. ა. ს. ზაზოვი. აბოევის აბანოში ცივს წყალსაც ხმარობენ; მაგრამ საიდგანაც წყალიააქვთ, იმ ადგილას მტკვარი ერთობ გაბინძურებულია. საჭიროა, ამ გარემოებასაც მიაქციოს ყურადღება გამგეობამ.

გამ. წევ. თავ. არღუთინსკი. გამგეობამ უკვე მიაქცია ყურადღება აბოევის აბანოს და სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს მიანდო დაეთვალიერებინა ის. ანალიზით გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მტკვრის წყალი, რომელსაც ხსენებულ აბანოში ხმარობენ, მართლაც არ არის კარგის ღირსებისა. თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს სანიტარულის მხრივ ეს აბანო, გამგეობა ამასაც იქონიებს მხედველობაში, როცა საზოგადოდ ყველა აბანოების უფრო სუფთად შენახვის შესახებ მოხსენებას შეიმუშავებს.

ხმ. ქოჩორიანცი. გამგეობაში ყველაფერი ქაღალდზედ იწერება, ნამდვილად-კი არაფერი არა სრულდება. მე ვთხოვულობ ცოცხალს მოქმედებას, ნამდვილს საქმეს, და არა ქაღალდების აჭრელებას.

თავმჯდომარე. როგორს მოქმედებას, მაგალითად?

ხმ. ქოჩორიანცი. იმ გვარ მოქმედებას, რომ გამგეობამ დაავალოს თავისს აგენტებს—ხშირად დაათვალიერონ ხოლმე, აბანოები იქნება, თუ სხვა რამე, და ყოველგვარი უწეს-რიგობა აჰკვეთონ.

გამ. წევ. ბ-ნი ხოსროევი. როგორც სასანიტარო სამკურნალოს წევრები, ისე სავაჭრო პოლიციის აგენტები ყურადღებას აქცევენ ყველაფერს, რაც იმათ მოვალეობას შეეხება. ტფილისის სამოსამართლოები ასობით არ ჩხევენ ყოველ წლიწადს ჩვენი აგენტების მიერ შედგენილს ოქმებს. სხვა რა ჰქნას გამგეობამ? მეტი უფლება მას არ აქვს კანონით მინიჭებული.

საბჭო დაკმაყოფილდა გამგეობის მოხსენებით.

გამ. წევ. თავ. არღუთინსკიმ წაიკითხა გამგეობის მოხსენება ქალაქის ყასაბხანასთან მეხაშეებისათვის სადგურის აშენების შესახებ. საქმე ის არის, რომ ყასაბხანასთან რაჭველ მეხაშეებს თავიანთი სახაშე ქოხები ჰქონიათ ქალაქის ადგილზე, მაგრამ ეს ქოხები მეტის-მეტად ყოფილა გაბინძურებული. ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევიათ ჯერ ქალაქის მოურავს და მერმე ბ-ნს ტფილისის გუბერნატორს და საჭიროდ უცვნიათ მათი დაქცევა. გამგეობას გარდაუწყვეტია, რომ ხსენებულ სახაშეების ადგილას თითონ ააგოს სახლი და ისე მოაწყოს, რომ იმაში სავსებით შეიძლებოდეს დაცვა სანიტარულ წეს-რიგისა და თითონ მეხაშეებსაც ბინა ჰქონდეთ იქ ღამ-ღამობითაც-კი. ეს შენობა დაჰყოს რამდენიმე ოთახად და მეხაშეებს მიაქირავოს. ასეთი შენობა დაჯდება, გამგეობის ანგარიშით, 5700 მან. და შემოსავალს მისცემს ქალაქს წლიურად 900 მან.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ ეს პროექტი დამტკიცებულ იქმნა.

ამავე დღეს საბჭოს ახალი ნიხრი უნდა დაეწესებინა ხორცეულობაზე, მაგრამ გამგეობამ განაცხადა, რომ ამ საგნის შესახებ მოხსენება არ წარმოგვიდგენიაო. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ გამგეობის უფროსს აგენტს—ბ-ნ ჯაბადარს მოუხსენებია გამგეობისათვის, რომ, როგორც ნამდვილად გავიგე, დიდძალი საქონელი მოდის ტფილისში ყარსიდგან და გუმბრიდგან და, თუ რამდენიმე დღეს დაიცდით, ტფილისში ერთობ გაიაფდება საქონელიო. მიუხედავად ამისა გამგეობას მაინც დაუვალებია მისთვის რამდენიმე სული საქონლის ყიდვა და დაკვლა, რომ გამოეანგარიშნა, თუ რამდენი დაჯდებოდა ხორცი. ბ-ნს ჯაბადარს შეუსრულებია ეს მინდობილობა და აღმოჩენილა, რომ გირვანქა ძროხის ხორცი ჯდება 10, 43 კაპ. მაგრამ ბ-ნს ჯაბადარს, მიუხედავად ამისა, მოუხსენებია გამგეობისათვის, რომ ნიხრის შემცირება შეიძლება ძროხის ხორცზე 1 კაპეიკით (11 კაპ. ნაცვლად 10 კაპ.), რადგან საქონლის ფასი განგებ ასწიეს ბაზარშიო. ამის გამო, ქალაქის მოურავის წინადადებით, საბჭომ მიანდო გამგეობას, რომ ეს უკანასკნელი თუ შესაძლებლად დაინახავს, შესცვალოს ნიხრი, ე. ი. შეამციროს ხორცეულობის ფასი, გუბერნატორს წარუდგინოს ის დასამტკიცებლად და შემდეგ საბჭოს მოახსენოს ასეთი მოქმედების ანგარიში.

შემდეგ, გამგეობის მოხსენების თანახმად, კრებამ დაადგინა მიეცეთ სადეზინფექციო სადგურის გარდაცვალებულის კუჩრის ბორისოვის სახლობას 100 მან., გარდაცვალებულ მეონკანის ბოგდანოვის ქვრივს 112 მან., ქალაქის სამკურნალოს ბებიად ნამყოფს იზაბელა ლოკშს 100 მან., და გამგეობის საქმის მწარმოებლად ნამყოფს ნიკო ზედგინიძეს, რომელსაც 1888 წლიდგან უმსახურნია გამგეობაში და ეხლა მძიმედ ავად არის, 600 მან.

დასასრულ, ხანგრძლივის კამათის შემდეგ, კრებამ აირჩია ქალაქში და იმის გარშემო ტყეებისა და ბაღების გამშენებელ კომისიის წევრებად: ი. ს. ბუდაღოვი, თავ. ნ. ი. არღუთინსკი, გ. ა. ქოჩორიანცი, ა. ა. ქალანთარი, მ. ნ. ვესელოვზოროვი, ნ. ა. ხუდადოვი და ა. დ. როტინოვი; სავაჭრო დეპუტაციის წევრად—ტერ-აბრამოვი და იმის კანდიდატად მატიაშვილი.

---

და ბრაზ-მორეულმა სურათს მძლავრათ შეაფურთხა... განთქმული მონადირე სდევნის, ნადირობს ეხლა თავისს შევიწროებულ დაგლახაკებულს მოძმე-ადამიანზედ; სდევნის იმიტომ, რომ ეს არის მისი მოვალეობა, დარაჯობა, რომელიც მას ლუკმა პურს აჭმევს... თვუი თვუ!.. კვლავ ზიზღით გააფურთხა ილიკომ... სირცხვილი, სირცხვილიო! სასო-წარკვეთილებით გაიელო გონებაში... მოულოდნელმა მწუხარებამ მთლად აურ-დაურია აზრები ილიკოს და რაღაც გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩააგდო იგი...

თითქოს წინ მიადგამდა ცხენი ფეხებს, მაგრამ ნამდვილად კი უკან-უკან ერთის საშინელის უფსკრულისაკენ იწევდა... შშ... თოფის ტყვიასავით გაიშხუილა ილიკოს ყურთა რაღაცამ... ილიკო შეკრთა და ფიქრისაგან გამოერკვია, თვალები გააჭყიტა, თოფზედ ხელი იტაცა... მის თვალ წინ მიმინომ გამოღვიძებული ჩიტუნა აიხლიტა, საუზმედ წაიღო... აგერ კიდევ რაღაც ხმაურობა მოესმა... ილიკო წელში გასწორდა... ყურთასმენად გარდაიქცა, ცულის ხმაა... გულმა ძგერა შესწყვიტა, სუნთქვა შეაჩერა... სმენამ ხომ არ მოატყუაო?.. თითქმის მწუხარებით დაეკითხა თავისს თავს ილიკო... ცულის ხმა განმეორდა... შეჩერებულმა გულის ძგერამ ეხლა ძაგა ძუგი დაიწყო... ილიკო ფრთხილად ჩამოვიდა ცხენიდგან, ნელის ნაბიჯით ხესთან ცხენი მიიყვანა და აღვირით მიაბა, მხრიდგან თოფი ჩამოიღო და იღლიის ქვეშ დაიჭირა, რომ არაფერს მოსდებოდა... დედამიწამდის დაიხარა, გულის ცახცახით, ფეხ-აკრებით შეძვრა ტყეში და გაემართა იქითკენ, საიდგანაც ცულის ხმა ისმოდა...

უჰ, შენი ღმერთის ჭირიმე, რა კელაპტარივით წიფელია, რა საუცხოვო ხეა ე დალოცვილი და!.. აღტაცებით შესძახა გიგლამ ხის დანახვისათანავე...

— რას ღრიალებ, ბიჭო, მუტრუკსავით! თუ გაგიგონა ილიკომ, კაი საუზეოს გაჩვენებს!..

— რა ოხრობა უნდა აქ ილიკოს, იმედნეულად უპასუხა გიგლამ და თან წიფელს მიუახლოვდა...

მართლაც ლამაზი იყო ეს წიფელი; მორთული ლურჯ ტანისამოსში, წერწეტა პატარძალსავით თავ მომწონედ გამოიცქირებოდა. ამ კოპწია წიფელს გარშემო სხვა და სხვა ტანის წიფლები შემოხვეოდნენ. კარგად რომ დაჰკვირვებოდით, ადვილად შეამჩნევდით, რომ მათ შორის ბრძოლა იყო გამართული. ზოგი მათგანი ადრე დამარცხებულიყო და თავ-მოღუნული—გამხმარი ამ წიფლის ქვეშ კიდევ იდგა, ზოგს ცოტად-ღა ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანი: აქა-იქ თითო-ოროლა ფოთოლი-ღა უჩანდა, ზოგი წვრილად აწოწილიყო, ტოტები დაჰხმობოდა, ხოლო თავი ამ წიფლის ტოტებს შუა ამოეყო და მზისაკენ იწევდა; ზოგს კიდევ ცალ-მხრივ შერჩენოდა ტოტები და უშნოდ იზრდებოდა... ამ ბრძოლაში გამარჯვებული ჩვენი წიფელი თავისუფლად და სწრაფად იზრდებოდა...

პირველმა ცულის ხმამ წამს შესწყვიტა გაღვიძებულ ჩიტთა ჭიკჭიკი... გაფურჩქნულმა ხეებმა შიშით ერთმანეთს გადახედეს... არა-ჩვეულებრივმა ხმამ შეაკრთო იგინი. ცულის ხმა განეგრძო... შეწყვეტილი გალობა ჩიტუნებმა ისევე დაიწყეს, მხოლოდ წიფელი შეკრთა, შეშინდა... მისი ახლად ამწვანებული ტოტები შეიძრა, ხემ იგრძნო მოახლოვება სიკვდილისა და მთლად ათრთოლდა... ცულის პირი ღრმად ესობოდა მის ნორჩ ტანს და დიდრონ ნაფოტებს აცლიდა... აგერ შეიძრა მთლად წიფელი, მაგრამ თავი შეიმაგრა, უნუგეშოდ გადიხედ-გადმოიხედა, თითქოს მეზობელ ხეებს დაეკითხა,—ნეტა არ გეცოდებით, ასე უდროვოდ რომ ვესალმები წუთი-სოფელსაო!... წიფელი ერთხელ კიდევ შეკანკალდა... გადიწია... და გაიშხლართა დანამულს ბალახზედ... მოკვდა წიფელი... უჰ, თავისუფლად ამოისუნთქეს მეზობელმა ხეებმა... ძლივს არ გვეღირსა სინათლის დანახვა, შვებით გაიბუტბუტეს დაჩაგრულმა ხეებმა... დაცალიერებულ ალაგას თავისუფლად შეირბინა დილის ნიავმა და აათამაშა ხეების ფოთლები... ცნობის მოყვარე მზის სხივებმაც შეანეთეს და ალმასებრ აბრჭყვიალეს დანამული ნორჩი ბალახი და ფოთლები...

ქვეყანა მხიარულებდა და ამომავალი მზე უხვად უგზავნიდა მას თავისს ცხოველ-მყოფელს სითბოს.

მ. მურვანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქუთაისის საბჭო

7 თებერვალი

კრება დანიშნული იყო სადამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ, დაიწყო მხოლოდ $8^{1}/_{2}$ საათზედ. თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი ბ-ნი ლოლუა.

პირველად კრებას მოხსენდა ამწლის მოსალოდნელის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლიდგანაც სჩანს, რომ შემოსავალს ქალაქი მიიღებს 144 ათას მანეთზედ ცოტა მეტს, ხოლო გასავალს 147 ათასს მან. ამ გვარად გასავალი სჭარბობს შემოსავალს სამის ათასის მანეთით, რის დაფარვასაც საბჭო ჰფიქრობს წინანდელის წლების მკვიდრზედ დარჩენილ და ჯერ შემოუტანელ გადასახადებით.

ხარჯთ აღრიცხვა ქალაქის საქმეთა საბჭოს უკვე დაუმტკიცებია.

ამასთან კრებას მოხსენდა ის ამბავი, რომ ბ-ნ ქუთაისის პოლიცმეისტერს მოუთხოვნია ქალაქისათვის ეტლის შემენა, რათა ეს ეტლი პოლიცმეისტერის სრულს განკარგულებაში იყოს, რადგან მას ხშირად სჭირდება ქალაქის დათვალიერება და არ ეყოფა ამის ხარჯად ის ხუთასი მანეთი, რომელსაც ქალაქი ამისათვის ყოველ წლივ აძლევს.

მოისმინა-რა საბჭომ ხსენებული თხოვნა, ერთ-ხმად დაადგინა, უარი ეთქვას ბ-ნ პოლიცმეისტერს, რადგან ამისთანა ხარჯის გაწევა უკანონო იქნებაო.

შემდეგ საბჭოს მოხსენდა მთავრობის გარდაწყვეტილება, რომლის ძალითაც ქალაქს უფლება ეძლევა საკუთარი აფთიაქი ჰქონდეს. ქალაქის მოურავი ეკითხება საბჭოს, სად გავმართოთ ეს აფთიაქიო? ზოგიერთი ხმოსნები იმ აზრისანი იყვნენ, რომ რაკი ქალაქი ჰკისრულობს საკუთარის აფთიაქის დაარსებას, უმჯობესი იქნება იგი გაიმართოს არა შუაგულ ქალაქში, სადაც უკვე არსებობს სამი აფთიაქი და ორი აფთიაქის მაღაზია, არამედ განაპირა ადგილს, რათა ამით მიეცეს საშუალება ქალაქის ღარიბს და სოფლელ ხალხს აფთიაქით ადვილად ისარგებლონო. საბჭომ ეს აზრი არ შეიწყნარა და აფთიაქის დაარსება გარდასწყვიტა ქალაქის საკუთარს ადგილზე ტფილისის ქუჩაზედ საკათედრო ტაძრის მახლობლად.

შემდეგ საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მიერ წარმოდგენილი ნიხრი ხორცისა, რომლითაც უნდა გაიყიდოს უცხო ქვეყნებიდგან მორეკილ საქონლის ხორცი გირვანქა პირველ ხარისხისა 12 კაპეიკად, მეორე ხარისხისა 11 კ., მესამე ხარისხისა 8 კაპ.; ხოლო ადგილობრივის საქონლისა: გირვანქა პირველ ხარისხისა 8 კაპ., მეორისა — 7-ად, მესამისა — 5 ად; ცხვრის ხორცი 10 კაპ., ღორისა 9 კაპ., კამეჩისა 6 კ; სუკი გირვანქა 20 კაპ.

ზ—ი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ზემო-ნიქოზი**, (გორის მაზრა). აშკარადა სჩანს, რომ ჩვენის სოფლის მკვიდრთ თავისი წლიური მოსავალი არა ჰყოფნით ხოლმე, რის გამოც თან დათან უკიდურეს სიღარიბეში სცვივან. ერთი ამ მიზეზთაგანი სოფლის ჩარჩები არიან, რომელნიც დღითი დღე ჰმატულობენ, როგორც საზოგადოდ ყველგან, ისე ჩვენს სოფელშიაც. ვაჭრები ერთი ათად იღებენ თავიანთ შრომას სასყიდელს, მაშინ როდესაც მიწის მომუშავეთ ლუკმა პურიც-კი ენატრებათ. ზემო ნიქოზში მრავალი დუქანია გაშენებული და აქაური ვაჭრები არა სჯერდებიან საწვრიმალოს ყიდვა-გაყიდვას და მიკიტნობენ კიდეც, თუმცა ამისათვის საჭირო ნება-რთვა არა აქვთ აღებული. უოველსავე ამას ნათლად ჰხედავს სოფლის შეგნებული — თავადია, გლეხი, მღვდელია თუ ერის კაცი. სწორე უნდა მოგახსენოთ, ამ სოფელში ბევრად უფრო ნაკლებად არიან მიკიტნები საჭიროანი, ვიდრე სხვაგან სადმე, რადგან თითოეულ მოსახლეს თავისი საკუთარი ბერ-ღვინო აქვს. დუქნების გამოისობით სოფლის მკვიდრთ ღვინო და საზოგადოდ წლის მოსავალი რიგიანს ფასად ეყიდებათ, უმეტესწილ მედუქნეების ხელში გადადის ჩალის ფასად. ზნეობის მხრივ თუ რა დიდი ვნება მოაქვს სასმელების დუქნებს, ამის შესახებ ლაპარაკიც მეტია.

ზემო ნიქოზში მცხოვრებნი ას კომლამდის ირიცხებიან. ამ ხუთი-ექვსის წლის წინად ეს სოფელი ძლიერ მდიდარი იყო, მაგრამ დღეს მოსახლე არ იქნება, რომ, სულ ცოტა, ას თუმანზე მეტი არ ემართოს. სკოლის დაარსება უნდათ, მაგრამ ვლარას ჰხედებიან, რადგან ვალი ვერ მოუშორებიათ. ეკლესიის დასახურავადაც ვერ შეუგროვებიათ (დიდი ხანია წვეთი ჩამოდის) ფული.

კ. ფრონისპირელი

## სასამართლოს მატიანე

მღვდლის გიორგი ამბრიაშვილისა და სხვათა საქმე

გუშინ, სამშაბათს, 15 თებერვალს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველმა სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საყურადღებო სააპელაციო საქმე მღვდლის გიორგი ზაქარიას ძის ამბრიაშვილისა, იაკობ დიმიტრის ძის ქიტიაშვილისა, ივანე დავითის ძის კოკაშვილისა, წყალობ გიორგის ძის ფიდიაურისა და სანდრო გობერიძისა. სამოსამართლო პალატაში თავმჯდომარეობდა პალატის წევრი ა. პ. ფრანცოვი, წევრებად იყვნენ ი. ი. ოპტოვცევი და ე. ფ. ჟუკოვსკი, ბრალსა სდებდა ბრალმდებელის ამხანაგი ა. ბ. ადიგეზალოვი. დამნაშავეთ იცავდნენ: მღვდელს ამბრიაშვილს — ნაფიცი ვექილი გ. ს. ტერ-სტეფანოვი, იაკობ ქიტიაშვილს — ნაფ. ვექ. ჩემესოვი და ივანე კოკაშვილს — ნაფ. ვექ. ტურკევიჩი.

გავახსენებთ ამ საქმის ვითარებას მკითხველთ მოკლედ. გორის მაზრის სოფ. ატენის მღვდელმა გიორგი ამბრიაშვილმა კოკაშვილთან და ქიტიაშვილთან ერთად შეიტყო თურმე, რომ სოფ. ატენის მცხოვრებელი გლეხი თედორე სიმონის ძე ჰიდლაძე მძიმედ არის ავად, უკანასკნელს დღეშია და იმ იმედით, რომ ჩქარა გარდაიცვლებაო, სხვებთან ერთად 1896 წლის გაზაფხულზედ შეაგულიანეს გლეხნი ფიდიაური და გობერიძე, რომ ისინი წასულიყვნენ სიცოცხლის დამზღვეველ საზოგადოების „ეკვიტებლის“ ტფილისის სააგენტოში, ფიდიაურს ჰიდლაძის ვინაობა მიეთვისებინა და დაეზღვია თავი 7,000 მანეთად, ხოლო გობერიძეს შეემოწმებინა, რომ ფიდიაური მართლა ჰიდლაძეაო, რათა, როდესაც ჰიდლაძე გარდაიცვლებოდა, დასაზღვევი ფული 7,000 მან. ასეთის მოტყუებით ხელში ჩაეგდოთ. ოლქის სასამართლომ 1898 წლის მაისში განიხილა ეს საქმე, ბრალდებულნი დამნაშავედ სცნო და გარდაუწყვიტა მღვდ. გ. ამბრიაშვილს — ყოველისავე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და ასტრახანის გუბერნიაში საცხოვრებლად გაგზავნა, კოკაშვილსა და ქიტიაშვილს — ციხეში დაპატიმრება თითოეულს 1 წლითა და 4 თვით და ფიდიაურსა და გობერიძეს — დაპატიმრებავე 4 თვით.

სამოსამართლო პალატამ ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა, ხოლო მღვ. ამბრიაშვილს უწინდელივე სასჯელი დაუტოვა მხოლოდ იმის გამო, რომ ოლქის სასამართლოს ბრალმდებელისაგან ოლქ-ს სასამართლოს მიერ გარდაწყვეტილ მის შესახების განაჩენის გამო უკმაყოფილება არ იყო გამოცხადებული.

—

გაზ. „მშაკისა“ და სანდაზიანის საქმე

გუშინ, 15 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე გაზ. „მშაკის“ რედაქტორის ბ-ნ ქალანთარისა, რომელსაც სოფ. კიზილ-კილისის მცხოვრებელი სანდაზიანი უჩიოდა, რომ ახალციხიდგან გამოგზავნილ და ამ გაზეთში დაბეჭდილ კორესპონდენციაში ნათქვამია, ვითომ მეახშე ვარ და მთელის ამ მაზრის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაწილის მცხოვრებლებს სისხლსა ვწოვდეო. სანდაზიანის მხრივ ვექილად იყო ნაფ. ვექ. დრაგნევიჩი. სასამართლომ დაადგინა განაჩენი, რომლითაც საქმის წარმოება სრულიად მოისპო.

## დამაკვირდი

ჭკვიანი ჭკვიანს იცნობს მაშინვე, სულელი სულელს-კი არას დროს.

ს. ყ—ნი

* * *

შვილნი უცოხნელნი მადლ და მარილ არიან მშობელთა მათთათვის, გარნა შვილნი მტონარნი და ხენეშნი კაზმა და ოხრა სამარადისო.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად ჩვენს გაზეთში მოვიყვანეთ ერთის მკურნალის გამოკვლევა, რომელიც ამტკიცებდა, რომ კაცი თავის მოკვეთის შემდეგ რამდენსამე წუთს კიდევა სცოცხლობსო. ერთ გაზეთში ეხლა ამის მაგალითებიც არის დაბეჭდილი. ბავარიის მეფეს ლიუდვიკს 1337 წელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია დიც ფონ-შაუნბურგისა და იმის ოთხის ხელქვეითისთვის, რომელნიც მეფის წინააღმდეგ აჯანყებულან. დამნაშავეებისთვის თავები უნდა მოეკვეთათ. როდესაც ხუთივენი მოედანზედ გამოუყვანიათ, შაუნბურგს უთხოვნია მეფესთვის, ყველანი მწკრივად დაგვაყენეთ, ისე რომ რვა-რვა ნაბიჯის მანძილზედ ვიდგნეთ ერთი-ერთმანეთზედაო; შემდეგ პირველს მე მომკვეთეთ თავი; როდესაც თავს მომაშორებენ, მე პირობას გაძლევთ უთავომ ჩემ ხელქვეითების წინ გავირბინო. გთხოვთ აპატიოთ სასჯელი იმათ, ვის წინაც გავირბენო. მეფეს სიცილით პირობა მიუცია. უფიქრია, საწყალი შიშით ჭკუიდგან შეშლილა, და რისთვის ვაწყენინო, მაინც ხომ ვერ აასრულებს და ვერა, რასაც ამბობსო. ფონ შაუნბურგს ხელ-ქვეითები დაუმწკრივებია, თავისთან ახლო ისინი დაუყენებია, ვინც უფრო უყვარდა. შემდეგ მუხლზედ დაშვებულა და უთქვამს, მომკვეთეთ თავიო. როდესაც თავი მოუკვრიათ, შაუნბურგს მართლაც გაურბენია თავის ხელ ქვეითების წინ; მაგრამ გასულა თუ არა ბოლოში დაცემულა და ალარც-კი შენძრეულა. მეფეს სხვები აღარ დაუსჯია.

ასევე მოქცეულა საშუალო საუკუნოებში ერთი ჯარის წინამძღოლი. ამ წინამძღოლს სიკვდილისაგან რვა კაცი გადაურჩენია.

1528 წელს ერთ ბერს რაღაც საქციელისთვის თავის მოკვეთა და შემდეგ სხეულის ცეცხლში დაწვა გადაუწყვეტეს. როდესაც დასასჯელად წაუყვანიათ, ბერს გამოუცხადებია, მე უდანაშაულო ვარ და ამას მაშინ დაგიმტკიცებთ, როდესაც თავს მომკვეთავთო. მართლაც თავის მოკვეთის შემდეგ, ბერი ჯერ გულ-დაღმა დაცემულა, შემდეგ ზურგზედ გადაბრუნებულა, მერე წამომჯდარა, ხელები აუშვერია, ბოლოს ისევ წამოწოლილა და ხელები ჯვარედინად დაუწყვია გულზედ. ყველა დარწმუნებულა, რომ ბერი უდანაშაულო იყოო და იმისი გვამი დაწვის ნაცვლად დიდის ამბით დაუსაფლავებიათ.

* * *

ესპანელებს, როგორც ვუწყით, ძალიან უყვართ ხარების ჰიდაობა. ხშირად ხარებთან ერთად მოედანზედ სხვა ცხოველებიც გამოჰყავთ. ამას წინადაც გაუმართავთ ერთი ასეთი ჰიდაობა. ხარი უნდა შეჰბრძოდა დათვს, ლომს და ვეფხვს. როდესაც მოედანზედ გამოუყვანიათ დათვი, ლომი და ვეფხვი, იმის მაგიერ, რომ ხარს მისცვივნოდნენ, ერთმანეთს მივარდნიან და ერთმანეთის წეწვა-გლეჯა დაუწყიათ. ერთი დარაჯი, რომელსაც ხელში მსხვილის საფანტით გატენილი თოფი სჭერია, მიჰვარდნია გასაშველებლად, მაგრამ ამ დროს თოფი გავარდნილა და საფანტს 21 კაცი საზოგადოებაში დაუჭრია. არეულობის დროს ხარი მოჩხუბარ ცხოველებს დაჰრევია და სამივე სასიკვდილოთ დაუჭრია.

* * *

კენისბერგში, როგორც ადგილობრივი გაზეთი მოგვითხრობს, აუარებელი ხალხი დასწრებია მკურნალის კარლ ნიუფელდის ლექციის კითხვას. ნიუფელდს ლექცია მახდისტებთან ტყვეობის შესახებ წაუკითხნია. თორმეტი წელიწადი იყო ნიუფელდი ტყვეთ ამ ნახევრად ველურ ხალხთან და მხოლოდ ამ ორის წლის წინად გენერალმა კიტჩინერმა განათავისუფლა ობდურმანის ბრძოლის შემდეგ. ნიუფელდს ბევრი რამ საყურადღებო წაუკითხნია თვით მახდის, იმის ჰარამხანის და ყოფა-ცხოვრების შესახებ. მახდის ძალად შეურთვევინებია ცოლი კარლ ნიუფელდისთვის. ცოლს ისე შეჰყვარებია ნიუფელდი, რომ განთავისუფლების შემდეგ თან გამოჰყოლია გერმანიაში. ეხლა ამ ცოლისაგან ნიუფელდს შვიდის წლის ვაჟი და ორის წლის ქალი ჰყავს, თუმცა ამათი დედა შავია, მაგრამ შვილები სახით თეთრები არიან და ევროპიელებსა ჰგვანან.

* * *

ერთ ნიუ-იორკელ პარიკმახერს, გვარად კარვარტს, ამას წინად სრულიად მოულოდნელად შეუტყვია, რომ ცოლი ჰღალატობდა. ისიც გაუგია, ვინ იყო ცოლის მოტრფიალე. ეს კაცი წინად წვერის საპარსავად კარვარტთან დადიოდა, მაგრამ შემდეგ გაუშვია წვერი და კარგა ხანი პარიკმახერთან აღარ მისულა. ერთ მშვენიერ დღეს, ამ ერთის თუ ორის თვის წინად, ძველი მუშტარი ხელ ახლა შევარდნილა პარიკმახერთან. ამ უკანასკნელს ჯერ ვერ უცვნია, მოწიწებით მიჰგებებია სტუმარს, მაგრამ როდესაც ცალ მხარეს ჩამოუპარსნია წვერი, მიმხვდარა, ვინცა ყოფილა იმისი მუშტარი. სისხლი ყელში მოჰბჯენია პარიკმახერს, ის იყო ყელზედ სამართებლის დასმა დაუპირებია თურმე, მაგრამ ამ დროს მოჰგონებია, რომ მუშტარს ფული წინ და წინვე ჰქონდა მიცემული, ამიტომ თავი შეუკავებია და ხელ ახლა პარსვას შესდგომია. „უსინდისობა იქმნება ჩემის მხრით, ფული მივიღო და საქმე-კი არ გავაკეთო“-ო, უფიქრია პარიკმახერს. როდესაც პარსვა გაუთავებია, დუხი დაუსხავს და თავი დაუვარცხნია, პარიკმახერს უთქვამს, ყელზედ ორიოდე ბალანი გაქვს და ისიც უნდა მოგპარსოთო, მარცხენა ხელით ნიკაპი აუწევია, მარჯვენათი კიდევ სამართებელი დაუსვამს ყელზედ. საწყალ მუშტარს ხმის ამოღებაც-კი ვერ მოუსწრია. ასეთის ჯავრის ამოყრა სცოდნიათ ამერიკელ პარიკმახერებს.

## კაცის გაყიდვა 1762 წელს და ნიხრები მე-XVIII საუკუნისა

ქ. *) ნებითა და:. შეწევნითა: და: მამის: და ძისა: და: წმიდისა: სულისა:. ამათაითა (?) თავდებობით:. და შუამდგომლობითა: და ზეცისა ძალით:. ან შუამდგომლობით:. და მიქაელ: გაბრიელის:. მთავარ ანგელოზის (?): ძალით: და შუა: მდგომლობით:. და იოვანე: ნათლის: მცემლის. ძალით!. და: შუა. მდგომლობით. და იოვანე მახარებლის:. ძალით:. და შუა მდგომლობით. და იოვანე ოქროს:. პირის. ძალით და:. შუა:. მდგომლობით. და... წმინდა:. გიორგის:. ძალით. და: შუა.: მდგომლობით:. და პეტრესი და პავლეს:. ძალით:. და შუა: მდგომლობით:. და ყოვლად:. წმინდაის:. ღმთის: მშობლის:. ძალით: და შუამდგომლობით:. და. ზეცასა ანუ: ქვეყანას: წმინდანი. იხსენებიან: იმათის:. ძალით: და.. შუა: მდგომლობით: ესე მტკიცე: და: ყვევალის (?) კაცის: უცილვებლი:. წიგნი: და. სიგელი. დაგიწერე: და მოგეცი:. მე. შიოშის:. შვილის. ქალმან:. მარომან:. შენ:. დაფაჩის: შვილს: მერუას:. ასე:. როდეს: დამეჭირა:. და. სულს იქით. ღონე: და: ილაჯი: არა. მქონდა: და. პურ-ძვირობა:. იყო.. და: მოვედი:. და. შემოგეხვეწე: და: მოგყიდე: ჩემი. შვილი: ივანე: ორის. წალის (წლის?) და. ავიღე:. ფასი. უვალები (?): ჩემი. გული (!) რითაც: შეხჯერდებოდა (?):. მენახე (?) აღარ: დარჩომილარა: არც: ერთის იოტის. ფასი:. გყავდეს:. და ღინ: გიბედნიეროს:. როგორც: სხვას. მონასა იყოდეს (?): მოიხმარვო:. შენთან. ხელი. არავის. ქონდეს: ერთი: ღთის. მეტს:. და. თუ ვინმე: წამოგედაოს. პირის და. პასუხის: გამცემი. მე. ვიყო: არის:. ამისი მოწამე:. თავათ. ღ̃ი: და. ყოვევალი:. მისი წამინდანი: და კაცთაგან: ყადარელი:. ზაზა. † და. პეტრე:. კუჭუას. შვილი:. † და: ხუცის. შვილი. გიორგი და:. ხიპას: შვილი:. სიმონ., და: მე: ნაზარას: შვილს: ფარერუზსს:. დამიწერია:. და მოწამეცა ვარ: ამისი. დაიწერა. მარტისა: ა ქ̃კს უნ—ზ † არც. ამის. დედას: სრული: ფასი აელო: მაგრამ შიმშილობის მიზეზით:. მიეყიდა ის ბიჭი:

ქ. **) რადგან. შიმშილობის მიზეზითა: და უპურობით შოშის. შვილის: ქალს. მარიამს. თავის შვილი: ივანე. შენ დაფაჩის. ბერუას თვით. მოეყიდა და შენ. ბერუას. გყუანდ. ჩვენ. პატრიაქის მოლარეთ ხუცესმა. კნიაზმა : პაატამ გედეონის ძემ შევიტყევით რომ სვეტიცხოველის ყმა იყო: შენ გელაპარაკენით და ეს შენი. ნასყიდი. ბიჭი. ივანე: სვეტის: ცხოვლის. ყმობის. მიზეზით. გამოგართვით. მოხველ. შემოგვეხვეწე. და შენი ვედრება. შევისმინეთ. და ეს. ივანე ბიჭი ისევე. შენ.: მოგეცით: იმ პირობით: რომ. მარამ. ცოლშვილის. პატრონი შეიქნებოდეს და ან თავის: თავისა. მოვლა. შეეძლოს. შენთან. იყოს. და როცა: ამ. ივანე. ბიჭმა. შენთან. ყოფა. აღარ. ინებოს. შენც. დასტური. უნდა: მისცე. და ისევე. სვეტისცხოვლის. ყმა. უნდა. იყოს. საცა. უნდა. იმყოფებოდეს. რადგან. სვეტის. ცხოვლის. ყმა. იყო. გასყიდვა. და ეკკლესიის. გამოწირვა. არას. მიზეზით. არ იქნებოდა. და არც იქნება. დაიწერა. თებერვლის **დ**. ქ̃კს **უნე** (ბეჭედი) გედეონისძე პაატა.

მეორე გვერდზედ სიგელისა მხედრულად:

ქ. მე ნიკო ქოჯვერის: შვილის. მარინეს: იმედათ: საგონებელო: დედავ; მაისოვ: ჩემი: თვისვინ: ნურა: გენაღვლებათ-რა: ჩემს: პატარას: გიორგის: ქოჩორზედ: კოცნასა: მოვახსენებ: ჩემს: პატარას: დას: თინიას:

*) ეკლეს. მუზ. ტყავზედ ნაწერი სიგელი (№ 17).

**) აქედგან სხვა ხელით და ესეც მხედრულად.

## გამოსადეგი ცნობა

კვერცხი კარგად ინახება, მშრალს სარდაფში რომ ფიცრის თახჩებზედ ერთი მეორეს მოშორებით დაალაგოთ და ხშირად გადაწმინდოთ ხოლმე მშრალის ტილოთი. კვერცხი კრეფის დროს ხელით უნდა მოიკრიფოს და არა დაიბერტყოს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 თებერვალი

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ პაარდერბერგიდგან:

„ინგლისის არტილერიამ ცეცხლი წაუკიდა ბურების ბანაკს, რის გამო ბურები ვეღარ დადგნენ იქ. ამ ჟამად ბურებს მოდდერის კალაპოტზედ უჭირავთ ადგილი; სიგრძე ამ ადგილისა ორი მილი იქმნება, სიგანე 150 ფუტი. კალაპოტი მდინარისა მტრისაგან კარგ დასაცველ ადგილს წარმოადგენს. კრონიეს სურსათი ბლომადა აქვს და ჯერ კიდევ გამაგრებულია; თუმცა გაქცევას ვერას გზით ვერ ახერხებს“.

კოლენზოდგან დეპეშით 12 თებერვალს „Times“-ს ატყობინებენ: „დიდი ბრძოლა მოგველის“-ო.

იმავე გაზეთს პრეტორიიდგან ატყობინებენ, რომ პრეტორიის ოფიციალური წრეები დიდს შიშსა და საგონებელში არიანო. სამშაბათს გენერალმა ბოტამ კოლენზოდგან დეპეშა გაგზავნა, რომ აღარ ძალმიძს წინააღმდეგობა გაუწიოო, ამიტომ კრიუგერმა ზავი დასდოსო. შემდეგ იუწყებიან, რომ კრონიე მეტად დიდს გაჭირვებაშიაო. შტეინმა კრიუგერს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც ატყობინებს, რომ ორანჟეს რესპუბლიკის ბურებს ბრძოლა აღარა სურთო. ამასთან ატყობინებს შტეინი, რომ პოზიციებზედ სამხედრო სამსახურისათვის გავგზავნე ყველანი, ერთვნების განურჩევლადაო. შტეინი სთხოვს კრიუგერს ზავის შესახებ მოლაპარაკებას შეუდგეს. როგორც ისმის, უკმაყოფილება იმ ბურებს შორისაც გაისმის, რომელნიც მეფკინგს არტყიან. ისინი ამბობენ თურმე, რომ უკეთესი იქმნება იარაღი დავყაროთ და ჩვენ ფერმებს დაუბრუნდეთო.

**კიმბერლეი.** 12 თებერვალი. როდსმა, რომელიც გუშინ დებირის ამხანაგობის კრებას თავმჯდომარეობდა, განაცხადა კრებაზედ, რომ მოგება ამხანაგობისა ორ მილიონ გირვანქა სტერლინგს უდრის და ამხანაგობის საქმეები ამ ბოლოს დროს უკეთ მიდისო.

**კაპშტადტი.** 13 თებერვალი. 50 აფიცერი და ჯარის-კაცი გაგზავნილ იქმნა კიტის ნავთ-სადგურში, სადაც, როგორც ხმა დადის, გადმოუტვირთნიათ გემებიდგან ბურებისთვის გამოგზავნილი თოფ-წამალი.

**სტეკსპრიტი.** 13 თებერვალი. როგორც ლედი-სმიტიდგან იუწყებიან, ინგლისელები ბერკლინსტის ალებას შეუდგნენ. ამ ქალაქში მყოფი ბურები ლედი გრეისაკენ წავიდნენ. ლანდროსტმა დეპეშით აცნობა შტეინს, საჭიროა ჯარი მომაშველოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქმნები იარაღი დავყაროო.

**მოდდერ რივერი.** 13 თებერვალი. ინგლისის ორმა რაზმა უკუ-აქცია იერიშით მოსული ბურები. ბურებმა საგრძნობლად იზარალეს.

**ვენა.** წინადვე გამოცხადებულის პირობის თანახმად, დღეს მთელ დედამიწაზედ უნდა მომხდარიყო სამშვიდობო საზოგადოებათა კრებები და, ამის გამო, ვენაში შეიკრიბა ავსტრიის საზოგადოებაც, რომელმაც მიიღო ბერნის მთავარ-საზოგადოების რეზოლიუცია, აგრეთვე დამატება ამ რეზოლიუციისა, სადაც მადლობაა გამოცხადებული იმ ინგლისელთა მიმართ, რომელნიც იმ თავითვე წინააღმდეგნი იყვნენ ომის დაწყებისა და ეხლა კიდევ სცდილობენ ომის მოსპობას.

15 თებერვალი

**ლონდონი.** ბულლერი იუწყება, რომ 8-იდგან 12 თებერვლამდე მომხდარ ბრძოლაში მოკლულია 7 აფიცერი, მათ შორის სამი პოლკოვნიკი, ხოლო დაჭრილია 34 აფიცერი, ერთი კი დაკარგულია.

**ვენა.** დეპუტატი ვოლფი ჰკითხულობს, —მართალია თუ არა, რომ ავსტრიის მთავრობამ ხელი მოუმართა ინგლისელებს—ამ ვერაგ „ერს“ —ავაზაკობაში გმირ ბურების წინააღმდეგ ზარბაზნებისა და ცხენების მიშველებითაო? ვოლფმა ითხოვა, რომ სახელმწიფოს დაცვის საქმეთა მინისტრმა მომავალ კრებაზედ პატიოსანი სიტყვა მოგვცეს და გვაცნობოს, დარღვეულ იქმნა მართლა ამ სახით ნეიტრალიტეტი, თუ არაო.

**სოფია.** მიტროპოლიტი კლიმენტი ავად შეიქმნა.

**ბელგრადი.** სერბიის სარწმუნო წყაროდგან უარ-ყოფენ იმ საზღვარგარეთ გავრცელებულს ამბავს, ვითომ სერბია ჯარს სამხედრო ფეხზედ აყენებდეს ბოლგარიის წინააღმდეგ.

**ვარშავა.** ჩუმა-მაძიებელმა პოლიციამ აღმოაჩინა ქარხანა ყალბის ვერცხლის ფულისა; ქარხანა ლოძში ყოფილა, ხოლო ამ ქარხნის განყოფილება ყალბის ფულის გასასაღებლად—ვარშავაში.

**ლონდონი.** გოშენმა საზოგადოებათა პალატას წარუდგინა საზღვაო ხარჯთ აღრიცხვა და თან განაცხადა რომ განსაკუთრებული ამ ხარჯთ-აღრიცხვაში არა არის-რა, რადგან მთავრობას საჭიროდ არ მიაჩნია ფლოტის საომარს ფეხზედ დაყენება.—ინგლისს არც ერთის ზღვათა სახელმწიფოსაგან შიში არ მოელის. ევროპამ კარგად უწყის ინგლისს რა ძალ-ღონისა და რამდენი სამხედრო გემი ჰყავს. ერთი საადმინისტრაციო ღონისძიება მაინც-კი ნაღონია: მარტის დასაწყისში სათადარიგო ესკადრა პორტლადში წავა სროლაში სავარჯიშოდ და ამ წელსვე ადმირალი ღია ზღვაში გაიყვანს ამ ესკადრას სამხედრო ვარჯიშისათვისვე, რაც საბრძოლველად მას უფრო მოამზადებს; ხოლო ეს ესკადრის საომარს ფეხზედ დაყენება არ არის. „შეუძლებელია საფრანგეთსა და რუსეთში ქვა ნახშირის გაზიდვის აღკრძალვა იმ დრომდე, ვიდრე ომი არ ატეხილა ანუ ვიდრე ისეთი საქმეთა ვითარემა არ დამდგარა, რომელიც სრულიად არ ემსგავსება აწინდელსაო... დასასრულ გოშენმა სთქვა: „როდესაც გააგის კონფერენცია იყო მიწვეული, ინგლისის მთავრობამ აღნიშნა, რომ იქმნება საჭირო გახდეს ახალ სამხედრო გემების აგების შეჩერება კონფერენციის გარდაწყვეტილებამდეო. შეიარაღების შემცირების შესახებ არაფერი არ იქმნა გარდაწყვეტილი კონფერენციის შემდეგ ექვსის თვის განმავლობაში დაწყებულ იქმნა ანუ შემუშავებულ რამდენისამე წლისთვის სამოქმედო პროგრამმა, უფრო-უშველებელი, ვიდრე როდისმე ჰქონიათ მხედველობაში დიდთ სახელმწიფოთ, რომელთა თავიანთი წარმომადგენლები გაჰგზავნეს კონფერენციაზედ დასასწრებლად. ინგლისის პროექტით, წელიწადში საბრძოლველ გემთა ასაგებად უნდა დაიხარჯოს 8,460,000 გირვანქა სტერლინგი, რუსეთის მთელ საზღვაოსნო პროექტი 4,300,000 გირვანქა სტერლინგი, ხოლო საფრანგეთისა 4,154,000 გირვანქა სტერლინგი. საერთოდ რომ ვიანგარიშოთ, რომ გემის აგება საფრანგეთსა და რუსეთში 20% ძვირად დაჯდება, ვიდრე ინგლისში იხარჯება, და თუ ამასთანავე ინგლისი იმდენს ჰხარჯავს ამ საგნისთვის, რამდენსაც რუსეთი და საფრანგეთი ორივე ერთად, და კიდევ 20%-ს მოგებას, 8.460.000 გირ. სტერლინგიდგან დარჩენილს, ინგლისს ხელთ შერჩება კიდევ 1.700.000 გირვანქა სტერლ., რომლითაც შეუძლიან ერთი ჯავშნიანი ხომალდი და ერთი სამხედრო გემი კიდევ შეიძინოს.“ გოშენმა ილაპარაკა შემდეგ საფრანგეთისა და გერმანიის არა საზღვაო პროგრამის შესახებ, და სთქვა, რომ გერმანიამ 16 წლისთვის შეადგინა პროგრამა და ხარჯი 70.000.000 გირ. სტერლიგამდე ადისო, საფრანგეთის პროგრამა კი 8 წლის ვარაუდით არის შედგენილიო. ინგლისს რომ უნდოდეს და თითონაც გერმანიის დედა-აზრის კვალობაზედ მოიქცეს, მისი ხარჯი 124.00.000 მან აიწევდაო. პროგრამათა წარმოდგენას იმას ვამჯობინებ, რომ თვალ-ყური ვადევნოთ სხვა დიდთა სახელმწიფოთა ზღვის სამხედრო ძლიერების განვითარებას. ინგლისი უკეთ მოიქცევა, თითოეულ წლიური პროგრამა რომ იღასრულოს, რომელიც უწინდელსავე დედა აზრზედ უნდა იყოს დამყარებულიო. დიდნი პროგრამანი არ უნდა აშფოთებდეს ინგლისს, მან თვალ-ყური ადევნოს, რომ საზღვაო ძლიერების განვითარების მხრივ საუკეთესო მდგომარეობაში იყოს არა თუ მარტო ევროპაში, არამედ შეერთებულს შტატებსა და იაპონიაშიაცო.

### „ივერიის“ ფოსტა

**ნ. ფიცხელაურს.** სამგლოვიარო განცხადება ნატალია ფიცხელაურის გარდაცვალების გამო რედაქციამ შეცდომით ვერ გამოაცხადა.

### წერილი რედაქციის მიმართ

უღრმესს მადლობას ვუცხადებთ როგორც მე და ჩემდამო რწმუნებული სკოლის მოსწავლეები, ისე ალაგირის ქართველი საზოგადოება და ადგილობრივი მღვდელი მამა გიორგი კარაევი დავით და სოლომონ მეტრეველებსა და ალექსი ლობჟანიძეს, რომლებმაც არ დაიზარეს თვისი წვლილი და შემოსწირეს ალაგირის ღარიბ ქართულ სამრევლო სკოლას—პირველმა ორმა შკაფი, ღირებული ორ-თუმნად, ხოლო ალექსი ლობჟანიძემ საანგარიშო სტოლი, ღირებული 10 მან.

ალაგირის სამრევლო სკოლის მასწავლებელი პავლე სოფრომის ძე ლომთათიძე


## აბრეშუმის

შემოწმებული თესლი საუკეთესო ფაბრიკისა, ბაღდადი თეთრი და ფრან

გულ-უგათეჲლი შარკებისა მიჰმართონ

## მათე ნიკოლაძის

წიგნის მაღაზიაში ქ. ბათუმს. (20—2)

## ქუთაისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა თებერვალის 21 რიცხვს დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც სამის წლის ვადით პირველ მაისიდგან იჯარით გაიცემა ქალაქის ბაღში არსებული ორი სავაჭრო ფარდული.

მსურველთ პირობების გასინჯვა შეუძლიანთ გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ათი საათიდამ ორ საათამდის. ვაჭრობა დაიწყება 12 საათზე და გათავდება ნაშუადღევის ორ საათზედ. (3—6.—1)

## ტფილისის საკომერციო სასწავლებლისაგან.

მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ კლასის უფროსს განყოფილებაში (ამ განყოფილებაში მიიღებიან 9—11 წლისანი) და პირველ კლასში (10—12 წლისანი) დანიშნულია ამა წლის 25 და 28 აპრილისათვის; მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები რვა წლიდგან დაწყებული უეგზამენოდ.

სწავლის ფასი წელიწადში: მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში—80 მან.; უფროს განყოფილებაში—100; პირველ კლასში—120 მან.

სწავლა ამ წლის სექტემბრიდგან დაიწყება.

სწავლა დამთავრებულთ შემდეგი უფლებანი ეniჭებათ: 1, სამხედრო ბეგარის გადახდის დროს სარგებლობენ პირველის ხარისხის შეღავათით; 2, უმაღლეს სასწავლებელში და სახელმწიფო სამსახურში შესვლის დროს ისეთივე უფლება ეძლევათ, როგორც რეალურ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთა აქვთ; 3, საკომერციო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ ეძლევათ პირად საპატიო მოქალაქის წოდება, ამას გარდა ვინც კარგად დაამთავრებს სწავლას—კომერციის კანდიდატის წოდება და საჩუქრადაც ოქროსა და ვერცხლის მედალება ეძლევა.

თხოვნები უნდა შეტანილ იქმნას დირექტორის სტატსკი სოვეტნიკის მაქს ოსიპის ძის ფიშერის სახელზედ.

თხოვნასთან უნდა იყოს საბუთის ქაღალდები წოდებისა და ყვავილის აცრის შესახებ და დაბადებისა და მონათვლის მოწმობა. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე ტფილისის სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტის კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა, № 1); იქვე მსურველს შეუძლიან უსასყიდლოდ მიიღოს ეგზამენების პროგრამები და ტფილისის საკომერციო სასწავლებლის წესდება. (5—6.—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამ 1900 წლის 17 თებერვალს, დილის 12 საათზედ, ქალაქის გამგეობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა პოლიციის მე-9 ნაწილში ავჭალისა და ანდრეევის ქუჩების შესართავთან გამართულ ყანთარისა და ყანთრის სამხრეთით მდებარე ქალაქის მიწის, რომელზედაც სახილე ფარდულია გაკეთებული, იჯარით გასაცემად.

მსურველთ ყოველისავე ამ საქმის შესახები პირობები შეუძლიანთ ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში განიხილონ ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—6.—3)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




## ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

## „კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან ღამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ მისაწვდენია:** დიდი ჰქა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—77)

ქ. ბათუმში დაარსებული

**ძმ. ჩილინგირიანის**

## კანტორა

უცხადებს კავკასიის საზოგადოებას, რომ **ჰყიდის**

## აბრეშუმის თესლს

ბაღდადის ტეჯრსა და საფრანგეთის ყვითელს პირველ ხარისხის პარკისას-თესლები ბანდეროლიანია, დაბეჭდილი და შემოწმებული სააბრეშუმო სადგურის მიერ. (7—32—7)


Дозволено цензурою, Тифлисъ 15 Февраля 1900 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე